

შპს „გოგე და კომპანია“-ს ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „გოგე და კომპანია“-ს სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

|                           |        | 2023        | 2022        |
|---------------------------|--------|-------------|-------------|
| ამონაგები                 | შენ.#1 | 6 745 983   | 2 665 669   |
| რეალიზებული პროდუქციის    |        |             |             |
| თვითღირებულება            | შენ.#2 | (4 781 592) | (2 020 680) |
| <hr/>                     |        |             |             |
| საერთო მოგება             | შენ.#3 | 1 964 391   | 644 989     |
| ადმინისტრაციული ხარჯები   | შენ.#4 | (518 371)   | (92 781)    |
| ძირითადი ხარჯები          | შენ.#5 | (581 610)   | (172 432)   |
| <hr/>                     |        |             |             |
| საოპერაციო მოგება         |        | 864 410     | 379 776     |
| <hr/>                     |        |             |             |
| არასაოპერაციო შემოსავლები | შენ.#6 | 10 140      | 23 075      |
| არასაოპერაციო ხარჯები     | შენ.#7 | (256 246)   | (94 389)    |
| მოგება დაბეგვრამდე        |        | 618 304     | 308 462     |
| მოგების გადასახადის ხარჯი |        | (40 774)    | (24 036)    |
| <hr/>                     |        |             |             |
| მიმდინარე წლის მოგება     | შენ.#8 | 577 530     | 284 426     |
| გაუნაწილებელი მოგება წლის |        | 683 302     | 630 124     |
| დასაწყისში                |        |             |             |
| დივიდენდები               |        | ( 271 826)  | ( 120 526)  |
| კორექტირება               |        | -           | (110 722)   |
| <hr/>                     |        |             |             |
| გაუნაწილებელი მოგება წლის |        |             |             |
| ბოლოს                     | შენ.#9 | 989 006     | 683 302     |

შპს „გოგე და კომპანია“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

|                                               |          | 2023             | 2022             |
|-----------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                               |          |                  |                  |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |          |                  |                  |
| ფულადი სახსრები                               | შენ.#10  | 481 451          | 317 464          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | შენ.#11  | 302 942          | 253 744          |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობა               | შენ.#12  | 2 827 199        | 727 041          |
| სხვა მიმდინარე აქტივები                       |          | 355 220          | -                |
|                                               |          | <b>3 966 812</b> | <b>1 298 249</b> |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |          |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                          |          | 2 856 715        | 2 370 239        |
| არამატერიალური აქტივები                       |          | 10 888           | 7 600            |
|                                               | შენ.#13  | <b>2 867 603</b> | <b>2 377 839</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>6 834 415</b> | <b>3 676 088</b> |
| <b>ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>     |          |                  |                  |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>             |          |                  |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები                         | შენ.#14  | 2 185 416        | 213 784          |
| შრომის ანაზღაურება                            |          | 14 821           | -                |
| საგადასახადო ვალდებულება                      | შენ.#15  | 93 656           | 39 290           |
|                                               |          | <b>2 293 893</b> | <b>253 074</b>   |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             |          |                  |                  |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება              | შენ. #16 | 3 551 516        | 2 739 712        |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>3 551 516</b> | <b>2 739 712</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |                  |                  |
| გაუნაწილებელი მოგება                          | შენ.#17  | 989 006          | 683 302          |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> |          | <b>6 834 415</b> | <b>3 676 088</b> |

შპს „გოგე და კომპანია“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

|                                                                                  | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|----------------------------------------------------------------------------------|------------------------|------------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                  |                        |                        |
| კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები                                            | 7 344 233              | 2 122 831              |
| გაწეული ხარჯები სულ                                                              | (7 448 615)            | (2 085 611)            |
| ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან                                    | (104 382)              | 37 220                 |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                | (412 918)              | 137 580                |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                   | 681 287                | 137 580                |
| <b>ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა</b>                       | <b>163 987</b>         | <b>174 800</b>         |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის</b> | <b>317 464</b>         | <b>142 664</b>         |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის</b>      | <b>481 451</b>         | <b>317 464</b>         |

შენ. #18

შპს „გოგე და კომპანია“-ში ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გოგე და კომპანია“ (ს/ნ 412733957) დაფუძნებულია 2018 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და რკინა კაველით, საღებავებით, მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ლ. ავალიანის ქ.12. კომპანიის დამფუძნებელია:

- გიორგი გოგელიძე (პ/ნ-62005003798) - საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. გაყიდვებისათვის იყენებს პროგრამას FMG.კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 31 კაცს.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

## 3. საანგარიშგებოვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

## 4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

### 4.1 ამონაგების აღიარება

4.1.1 ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი მოიცავს გაცემულ საქონელზე კონკრეტულ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებული თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ

ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

კომპანია საქონლის რეალიზაციას ახორციელებს დარიცხვის მეთოდით, რომელიც იყოფა კომპონენტების მიხედვით, ესენია:

- რეალიზაცია - ფიზიკური პირების მიერ შეძენილ საქონელზე საკასო (ჩეკის ამორტყმით)
- რეალიზაცია - საწარმოების (იურიდიული პირები) მიერ შეძენილ საქონელზე ზედნადებების მიხედვით
- რეალიზაცია - ფიზიკური პირების მიერ შეძენილ საქონელზე ბარათებით (ტერმინალებით) გადახდა
- რეალიზაცია - ფიზიკური პირების მიერ შეძენილ საქონელზე ნისიად (შემდგომი გადახდით)
- რეალიზაცია - ფიზიკური პირების მიერ განვადებით
- რეალიზაცია - ფიზიკური პირების მიერ საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხვით

4.1.2 კომპანია სწრაფი რეალიზაციისათვის იყენებს ფასდათმობის ელემენტებს, მომხმარებლების (ფიზიკური და იურიდიული პირები) ნებისმიერ ჯგუფში განაწილებას ახორციელებს თავად კომპანია, რომელიც თავისი სტრატეგიული მიზნებისათვის აკუთვნებს კომპანიებს ამა თუ იმ ჯგუფს, კერძოდ:

1. პირველი ჯგუფის მომხმარებლები არიან სტანდარტული ჯგუფის, ანუ ამ ჯგუფზე ფასდათმობა არ ვრცელდება
2. მეორე ჯგუფის მომხმარებლებს მიეცემათ ფასდათმობა საბითუმო ფასნამატის 50%-ის ოდენობით.
3. მესამე ჯგუფის მომხმარებლებს მიეცემათ ფასდათმობა საბითუმო ფასნამატის 60%-ის ოდენობით.
4. მეოთხე ჯგუფის მომხმარებლებს მიეცემათ ფასდათმობა საბითუმო ფასნამატის 70%-ის ოდენობით. (ამჟამად არ ფუნქციონირებს)
5. მეხუთე ჯგუფის მომხმარებლებს მიეცემათ ფასდათმობა ფასნამატის 10%-ის ოდენობით.
6. მეექვსე ჯგუფის მომხმარებლებს მიეცემათ ფასდათმობა ფასნამატის 15%-ის ოდენობით.
7. მეშვიდე ჯგუფის მომხმარებლებს მიეცემათ ფასდათმობა ფასნამატის 20%-ის ოდენობით.

გარდა ზემოთ აღნიშნული ფასდათმობებისა კომპანია ასევე იყენებს აქციების გამოცხადებას ამა თუ იმ საქონლის ჯგუფზე, რომელიც ფორმდება ბრძანებით და გამოიკვერება თვალსაჩინო ადგილზე, რათა მომხმარებლებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება. ფასდათმობების ყველა ამ მეთოდების გამოყენება აუცილებელია, რათა გავუძლიოთ მომატებულ მძლავრ კონკურენციას.

## 4.2 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

## 4.3 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს

თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

#### 4.4 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### 4.5 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 8-დან 12 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. სარტანსპორტო საშუალებები 10-12
2. კომპიუტერული ტექნიკა 10
3. მანქანა დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა 8-10 წელი
4. ავეჯი და სხვა 8-10 წელი

#### 4.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

#### 4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

#### 4.8 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის.

ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

#### 4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოებისარადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

#### 4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

### 5. საქმიანობის შედეგები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#### 5.1. ნეტო ამონაგები

| # | დასახელება         | 2023      | 2022      |
|---|--------------------|-----------|-----------|
| 1 | პროდუქციის გაყიდვა | 6 745 983 | 2 665 669 |
|   | სულ ამონაგები:     | 6 745 983 | 2 665 669 |

პროდუქციის გაყიდვა მოიცავს მხოლოდძირითადი საქონლის რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 6745983 ლარს. სულ 2023 წლის ამონაგებმა შეადგინა 6745983 ლარი. (შენიშვნა #1)

| # | დასახელება                  | 2023      | 2022      |
|---|-----------------------------|-----------|-----------|
| 1 | საწყისი პროდუქციის მარაგები | 727 041   | 652 179   |
| 2 | მარაგების შესყიდვა          | 6 881 750 | 2 095 542 |
| 3 | გადამუშავების დანახარჯი     | 4 781 592 | 2 20 680  |
|   | საბოლოო მარაგები            | 2 827 199 | 727 041   |

საწყისი მარაგები 727041 ლარი მოიცავს მხოლოდ ძირითადი სარეალიზაციო საქონლის ნაშთს, შესყიდული მარაგები ძირითად საქონელზე არის 6872657 ლარი, ხოლო სხვა სასაქონლო მარაგებზე 9093 ლარი, გადამუშავების დანახარჯი, ანუ თვითღირებულება ძირითად პროდუქციაზე არის 4781592 ლარი, სხვა სასაქონლო მარაგებზე 1882 ლარი და საბოლოოდ წლის ბოლოსთვის საქონლის მარაგების ნაშთმა შეადგინა 2819987 ლარი, სხვა სასაქონლო მარაგებზე ნაშთმა კი 7212 ლარი (შენიშვნა #2)

| # | დასახელება                | 2023        | 2022        |
|---|---------------------------|-------------|-------------|
| 1 | სულ ამონაგები             | 6 745 983   | 2 665 669   |
| 2 | პროდუქციის თვითღირებულება | (4 781 592) | (2 020 680) |
|   | საერთო მოგება             | 1 964 391   | 644 989     |

სულ ამონაგებმა შეადგინა 6745983 ლარი. პროდუქციის თვითღირებულებამ 4781592 ლარი, ხოლო საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 1964391 ლარი. (შენიშვნა #3)

| #  | დასახელება                  | 2023    | 2022   |
|----|-----------------------------|---------|--------|
| 1  | დასაქმებულთა ანაზღაურება    | 222 261 | 64 170 |
| 2  | საპენსიო დანარიცხი          | 4 239   | 717    |
| 3  | საკომუნიკაციო               | 1 236   | 613    |
| 4  | საკონსულტაციო               | -       | 1 000  |
| 5  | კომუნალური                  | 51 849  | 7 121  |
| 6  | საგადასახადო ხარჯი (ქონება) | 29 025  | 10 266 |
| 7  | ცვეთა და ამორტიზაცია        | 1 918   | 400    |
| 8  | საოფისე, საკანცელარიო       | 15 197  | 2 774  |
| 9  | მივლინება                   | 28 602  | 2 756  |
| 10 | დაცვა                       | 2 624   | 1 614  |
| 11 | ბანკის მომსახურება          | 29 602  | 1 350  |
| 12 | დაზღვევა                    | 6 978   | -      |
| 13 | რემონტი                     | 1 320   | -      |
| 14 | წარმომადგენლობითი           | 30 600  | -      |
| 15 | რეკლამა                     | 25 226  | -      |
| 16 | საბაჟო                      | 11 551  | -      |
| 17 | სამეურნეო                   | 40 793  | -      |
| 18 | სხვა                        | 15 350  | -      |
|    | სულ ადმინისტრაციული ხარჯი   | 518 371 | 92 781 |

მთლიანმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა შესაბამისად შეადგინა 518371 ლარი. (შენიშვნა #4)

| # | დასახელება               | 2023    | 2022    |
|---|--------------------------|---------|---------|
| 1 | დასაქმებულთა ანაზღაურება | 469 905 | 130 606 |
| 2 | საპენსიო დანარიცხი       | 7 404   | 1 945   |
| 3 | ტრანსპორტირება           | 3 403   | 2 860   |
| 4 | საიჯარო ქირა             | 23 375  | 22 500  |
| 5 | ცვეთა და ამორტიზაცია     | 65 991  | 3 000   |
| 6 | სხვა საწარმო             | 11 592  | 11 521  |
|   | სულ საოპერაციო ხარჯი     | 581 610 | 172 432 |

ამრიგად მთლიანმა ძირითადმა დანახარჯმა ჯამში შეადგინა 581610 ლარი. (შენიშვნა #5)

| # | დასახელება                       | 2023   | 2022   |
|---|----------------------------------|--------|--------|
| 1 | სესხის აფასებიდან შემოსავალი     | 1936   | 12 975 |
| 2 | სხვა არასაოპერაციო შემოსავალი    | 8 204  | 10 100 |
|   | მთლიანი არასაოპერაციო შემოსავალი | 10 140 | 23 075 |

მთლიანმა არასაოპერაციო შემოსავლებმა 2023 წლისათვის შეადგინა 10140 ლარი.(შენიშვნა. #6)

| # | დასახელება                  | 2023    | 2022   |
|---|-----------------------------|---------|--------|
| 1 | კონვერტაცია                 | -       | 15 112 |
| 2 | დანაკლისი                   | -       | 4 376  |
| 3 | საგადასახადო ხარჯი          | -       | 2 950  |
| 4 | საპროცენტო                  | 242 316 | 31 912 |
| 5 | სესხის გადაფასების          | 8 442   | 38 762 |
| 6 | საკურსო                     | 1 212   | 1 277  |
| 7 | სხვა არასაოპერაციო ხარჯი    | 4 276   | 94 389 |
|   | მთლიანი არასაოპერაციო ხარჯი | 256 246 | 94 389 |

მთლიანმა არასაოპერაციო ხარჯებმა 2023 წლისათვის შეადგინა 256246 ლარი. (შენიშვნა #7)

| # | დასახელება                                   | 2023     | 2022     |
|---|----------------------------------------------|----------|----------|
| 1 | მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე | 618 304  | 308 462  |
| 2 | მოგების გადასახადი                           | (40 774) | (24 036) |
| 3 | მოგება/(ზარალი)                              | 577 530  | 284 426  |
|   | მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)            | 577 530  | 284 426  |

მთლიანი შემოსავლებისა და დანახარჯების შეპირისპირებისას მიღებული იქნა მოგება 618304 ლარი, რომელსაც გააკლდება მოგების გადასახადის ხარჯი 40774 ლარი და დარჩება წმინდა მოგების სახით 577530 ლარი, რომელიც საბოლოო ჯამში გადატანილი იქნა 2023 წლის გაუნაწილებელ მოგებაში. (შენიშვნა #8)

| # | დასახელება                                  | 2023      | 2022      |
|---|---------------------------------------------|-----------|-----------|
| 1 | საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი            | 683 302   | 630 124   |
| 2 | სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში       | 577 530   | 284 426   |
| 3 | კაპიტალის სხვა ცვლილებები                   | (271 827) | (120 526) |
| 4 | კორექტირება                                 | -         | (110 722) |
|   | საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს | 989 006   | 683 302   |

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო 683302 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 577530 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 271827 ლარით და 2023 წლის ბოლოსათვის შეადგინა 989006 ლარი.(შენიშვნა #9)

## 5.2 ფინანსური მდგომარეობა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

| # | დასახელება                                                 | 2023    | 2022    |
|---|------------------------------------------------------------|---------|---------|
| 1 | ფული სალაროში ლარში                                        | 20 748  | 12 185  |
| 2 | ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში ლარში           | 119 505 | 38 184  |
| 3 | ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში | 341 198 | 267 095 |
|   | სულ ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები               | 481 451 | 317 464 |

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, სალარო მეურნეობაში და ფული გზაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2023 წელს ხორციელდებოდა საბანკო ტრანზაქციები ორივე ვალუტაში მუდმივად. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 317464 ლარი, წლის განმავლობაში ცვლილების შედეგად ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 481451ლარი.(შენიშვნა #10)

სავაჭრო მოთხოვნები 2023წლის დასაწყისისთვის იყო 253744 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 7970260 ლარის, დაერიცხა სხვა მოთხოვნები 172178 ლარი, ჩაირიცხა ძირითადი მოთხოვნების დასაფარავად 7344233 ლარი, ხოლო სხვა მოთხოვნების დასაფარად 749007 ლარი და დარჩა მისაღები 302942 ლარი. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში განხორციელდა საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების შექმნა და კორექტირების შეტანა აღარ გახდა საჭირო.(შენიშვნა #11)

მარაგები კომპანიაში მოიცავს ძირითადად გასაყიდად შემენილ საქონელს. 2023წლის დასაწყისისათვის ნაშთი შეადგენდა727041 ლარს, წლის განმავლობაში შემოვიდა სულ 4781592 ლარის საქონელი, წლის განმავლობაში მთლიანად გავიდა 2827199 ლარის საქონელი და ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 2819987 ლარი, საიდანაც საქონლის ნაშთია 2812775, ხოლო სხვა სასაქონლო მარაგების ნაშთია 7212 ლარი(შენიშვნა #12)

| დასახელება       | მიწა    | დაუმთ.მშენ | შენობა    | მანქ.დანა | ოფის.აღჭ | ავეჯი   | სატრანსპ | არამატერ | სულ       |
|------------------|---------|------------|-----------|-----------|----------|---------|----------|----------|-----------|
| ნაშთი 31.12.2022 | 458 600 | 1 682 677  | -         | 1 135     | 157 740  | 41 522  | 32 717   | 7 600    | 2 381 991 |
| შემოსვლა         | -       | 295 687    | 1 505 401 | 33 987    | 74 279   | 144 360 | -        | 5 205    | 2 058 919 |
| გასვლა           | -       | 1505401    | -         | -         | -        | -       | -        | -        | 1 505 401 |
| ცვეთა            | -       | 1 198      | 10 036    | 2 833     | 29 307   | 17 707  | 4 908    | 1 917    | 67 906    |
| ნაშთი 31.12.2023 | 458 600 | 471 765    | 1 495 365 | 32 289    | 202 712  | 168 175 | 27 809   | 10 888   | 2 867 603 |

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია მიწით, დაუმთავრებელი მშენებლობით, მანქანა დანადგარებით, ოფისის აღჭურვილობით, ავეჯით და სატრანსპორტო საშუალებით. არამატერიალურ აქტივებში აღრიცხულია გაყიდვების სამუშაო პროგრამა. და ბუღალტრული პროგრამა ორისი. სულ ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 2377839 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 2063073 ლარის ძირითადი საშუალება, ცვეთამ ჯამურად

შეადგინა 67909 ლარი, ხოლო ძირითად საშუალებად აღიარდა 1505401 და 2023 წლის ბოლოსათვის ნაშთმა გრძელვადიან აქტივებზე შეადგინა 2377839 ლარი.(შენიშვნა #13)

სავაჭრო ვალდებულებები 2023წლის დასაწყისში იყო 175862 ლარი, წლის განმავლობაში სულ დაერიცხა 9986906 ლარი, გასტუმრებული იქნა 8355123 ლარი, ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 2185416 ლარი.(შენიშვნა #14)

ვალდებულებები საგადასახადოს მიმართ 2023 წლის დასაწყისში იყო 39290 ლარი და წლის ბოლოსათვის დარჩა 2185416 ლარი.(შენიშვნა #15)

გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოდგენილი არის გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებით. 2023 წლის საწყისი ნაშთი იყო 2739712 ლარი, წლის ბოლოსათვის შეადგინა 3551516 ლარი. (შენიშვნა #16)

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 683302 ლარი, წლის განმავლობაში დაემატა მოგების სახით 577530 ლარი, გაიცა დივიდენდები 271827 ლარის და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 989006 ლარი. (შენიშვნა #17)

### 5.3 ფულადი სახსრების მოძრაობა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

| # | დასახელება                                        | 2023      | 2022    |
|---|---------------------------------------------------|-----------|---------|
| 1 | წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან   | (104 382) | 37 220  |
| 2 | წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | (412 918) | 137 580 |
| 3 | წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან    | 681 287   |         |
| 2 | წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში | 163 987   | 174 800 |
| 3 | ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში       | 317 464   | 142 664 |
| 4 | ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს            | 481 451   | 317 464 |

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში იყო 317464 ლარი. წლის განმავლობაში ჯამურად საოპერაციო საქმიანობიდან არის კლება 104382 ლარი, საინვესტიციო საქმიანობიდან კლება 412918 ლარი, ხოლო საფინანსო საქმიანობიდან არის მატება 681287 ლარი, შედეგად წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში შეადგენს 163987 ლარს. ფულის და ფულის ეკვივალენტებმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 481451 ლარი.(შენიშვნა #18)

დირექტორი:

გიორგი გოგელიძე